# ხელშეკრულება №74

ს. კაჭრეთი 28 ნოემბერი, 2013 წ.

ერთის მხრივ, საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ქ-ნ ნათელა პაპუნაშვილის სახით (შემდგომში ,,დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს ,,EL-Group"-ი წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ ზაალ სებისკვერაძის სახით (შემდგომში ,,შემსრულებელი"), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ელექტროენერგიის გამანაწილებელის და საკონტროლო აპარატურის (CPV 31200000), იზოლირებული მავთულის და კაბელის (CPV 31300000), გასანათებელი მოწყობილობების და ელექტრო ნათურების (CPV 31500000), ელექტრო მოწყობილობების და აპარატურის (CPV 31600000) შესყიდვა.

## 2. ფასი, სახელშეკრულებო ღირებულება

ფასი განსაზღვრულია ლარში და შეიცავს სახელშეკრულებო მომსახურებას დ.ღ.გ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (შემდგომში სახელშეკრულებო ღირებულება) შეადგენს 1500 (ათასხუთასი) ლარს.

## 3. მომსახურების ვადა

მომსახურების ვადად განისაზღვროს 28.11.2013-დან 31.12.2013-მდე.

## 4. ანგარიშსწორება

მხარეები ხელშეკრულებით ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. დამკვეთი ვალდებულია 15 კალენდრული დღის განმავლობაში გადაურიცხოს შემოტანილი საქონელის ღირებულების თანხა სრული ოდენობით.

## 5. პირგასამტეხლო

მომსახურების ვადის დარღვევისათვის თითოეულ გადაცილებულ დღეზე შემსრულებელი ჯარიმის სახით დამკვეთს გადაუხდის სახელშეკრულებო მომსახურების ღირებულებიდან 0.1%-ს, მაგრამ არა უმეტეს 5%-სა.

ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის თითოეულ გადაცილებულ დღეზე დამკვეთი შემსრულებელს ჯარიმის სახით გადაუხდის 0.1%-ს შესაბამისი თანხისა, მაგრამ არაუმეტეს 5%-ს.

## 6. საგარანტიო ვალდებულებები

სახელშეკრულებო მომსახურების საგარანტიო ფარგლებში საგარანტიო მომსახურებაზე პასუხისმგებელია შპს ,,EL Group"-ი.

კონკრეტული ვალდებულებები საგარანტიო მომსახურებაზე გამომდინარეობს მომსახურების ხარისხიდან.

## 7. დავათა გადაჭრა

მხარეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. თუ ეს შეუძლებელია, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

## 8. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს, მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული მდგომარეობა, ვალდებულია 5 დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული მდგომარეობის დაწყებისა და დამთავრების შესახებ.

## 9. მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან საბოლოო ანგარიშსწორების დღემდე. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

## მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისი”
საქართველო, გურჯაანიის რ-ნი
სოფ. კაჭრეთი. T +995 (790) 110 120
E-mail: kachreti@gmail.com
ს.ს ლიბერთი ბანკი, გურჯაანის ფილიალი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ანგ. №GE35LB0610009934089464
ს/კ 227770800

შპს ,, EL-Group”
ს/კოდი: 401957021
ა.№GE38BG0000000895042600
მომსახურე ბანკი: ს.ს ,,საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: MIBGGE22
მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №112, მაღაზია 4.

## მხარეთა ხელმოწერები

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,აისი”
დირექტორი: / ნ. პაპუნაშვილი/

შპს ,,EL-Group”-ის
დირექტორი: /ზ. სებისკვერაძე/

შეთანხმებულია:
შესყიდვების და ფინანსური მენეჯერი
ზესიკ ზირაქაშვილი ..........................................................